ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №60

19.03.2021 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
14:30 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. თედო ისაკაძე - კომისიის წევრი;
3. ილია ჯიშკარიანი - კომისიის წევრი.
4. დავით რურუა - კომისიის წევრი;
5. მიხეილ მესხი - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03210762-03; 17.03.2021);**

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03210762-03; 17.03.2021);**

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის შესახებ.

სხდომას თავმჯდომარეობდა - **შალვა ოგბაიძე.**

მომხსენებელი:

- **დავით ჯაიანი** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე.

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03210762-03; 17.03.2021):**

შ.ოგბაიძე - დადგენილებებში ცვლილებები ხორციელდება იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ 2020 წლის ოქტომბრიდან საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში დაინერგა სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემა, რის საფუძველზეც, 2020 წლის 20 ოქტომბრიდან ამოქმედდა რამდენიმე ინტეგრირებული მარშრუტი. ამ ეტაპზე, დღის წესრიგში დადგა დადგენილებაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა, რომელიც ითვალისწინებს დამატებითი ინტეგრირებული მარშრუტების განსაზღვრას.

დ.ჯაიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში 2020 წლის პირველი ოქტომბრის №64-107 დადგენილებით შეტანილი ცვლილებით, სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფისა და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში დაინერგა სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემა, ხოლო დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-18[1] მუხლის პირველი პუნქტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წარდგინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განსაზღვრავს სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩასართავი ავტობუსების მარშრუტებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში 2020 წლის 20 ოქტომბერს და 6 ნოემბერს შევიდა შესაბამისი ცვლილებები და განისაზღვრა ის მარშრუტები, რომლებიც უნდა ჩაერთონ სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში. ამ ეტაპზე, დღის წესრიგში დადგა დადგენილებაში დამატებითი ცვლილებების შეტანის აუცილებლობა, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტებში (დანართი 1), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტებსა (დანართი 2) და მათ განრიგში (დანართი 3) შესაბამისი ცვლილებების შეტანას.

ამასთან აღსანიშნავია, რომ დადგენილების პროექტის დანართ 2-ში ასახული ახალი 31-ვე მარშრუტი, დროებითი ღონისძიების სახით, ჩართულია სამგზავრო

გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში. მათ შორის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 13 ნოემბრის №20.1351.1671 განკარგულებით - ლოტ №5-ზე 409, 410 და 411 მარშრუტები, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 22 თებერვლის №21.195.231 განკარგულებით - ლოტ №1-ზე 437, 479 და 496 მარშრუტები, ლოტ №2-ზე 414, 459 მარშრუტები, ლოტ №3-ზე 436, 448, 504, 576, 583 მარშრუტები, ლოტ №4-ზე 425, 426, 429, 444, 445, 453,480,486, 508, 509, 510, 511 მარშრუტები, ხოლო ლოტ №5-ზე 413, 420, 423, 424, 524, 582 მარშრუტები.

წარმოდგენილი პროექტის თანახმად, დედაქალაქის მასშტაბით ამოქმედდება შემდეგი მარშრუტები.

ლოტი №1, ვაკე-საბურთალოს რაიონი - დადგენილების ამჟამად მოქმედი რედაქციით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში (დანართი 2) ჩართულია 10 მარშრუტი და მოძრაობს 48 ერთეული ავტობუსი. წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს სამი მარშრუტის დამატებას, ხოლო 13 მარშრუტზე იმოძრავებს 68 ერთეული ავტობუსი. ახალი მარშრუტებია: №437, 479, 496. აღნიშნული იწვევს დადგენილების დანართ 1-ში ავტობუსების რაოდენობის 20 ერთეულით შემცირებას.

ლოტი №2, გლდანი-ნაძალადევის რაიონი - დადგენილების ამჟამად მოქმედი რედაქციით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში (დანართი 2) ჩართულია 3 მარშრუტი და მოძრაობს 37 ერთეული ავტობუსი. წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს 2 მარშრუტის დამატებას და ჯამში 5 მარშრუტზე 43 ერთეული ავტობუსის ჩართვას. ახალი მარშრუტებია: №414, №459. აღნიშნული იწვევს დადგენილების დანართ 1-ში ავტობუსების რაოდენობის 6 ერთეულით შემცირებას, თუმცა მარშრუტების რაოდენობაში ცვლილება არ შედის.

ლოტი №3, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი - დადგენილების ამჟამად მოქმედი რედაქციით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში (დანართი 2) ავტობუსები ჩართული არ არის, ხოლო წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს 5 ახალი მარშრუტის ამოქმედებას და ამ მარშრუტებზე 44 ერთეული ავტობუსის ჩართვას. ახალი მარშრუტებია: №436, №448, №504, №576, №583, აღნიშნული იწვევს დადგენილების დანართ 1-ში ავტობუსების რაოდენობის 44 ერთეულით შემცირებას და სამი მარშრუტის №36, №59, №204 გაუქმებას.

ლოტი №4, გლდანი-ნაძალადევის რაიონი - დადგენილების ამჟამად მოქმედი რედაქციით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში (დანართი 2) ავტობუსები ჩართული არ არის. წარმოდგენილი პროექტის თანახმად ემატება 12 ახალი მარშრუტი და მარშრუტებზე ჩაერთვება 79 ერთეული ავტობუსი. ახალი მარშრუტებია: №425, №426, №429, №444, №445, №453, №480, №486, №508, №509, №510, №511. აღნიშნული იწვევს დადგენილების დანართ 1-ში ავტობუსების

რაოდენობის 79 ერთეულით შემცირებას და 15 მარშრუტის (№8, 9, 14, 29, 37, 45, 86, 96, 144, 153, 180, 210, 211, 225, 226) გაუქმებას.

ლოტი №5, ისანი-სამგორის რაიონი - დადგენილების ამჟამად მოქმედი რედაქციით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში (დანართი 2) ერთ მარშრუტზე (№408) ჩართულია 15 ერთეული ავტობუსი. წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს 9 მარშრუტის ამოქმედებას და ჯამში 10 მარშრუტზე ჩაერთვება 66 ერთეული ავტობუსი. ახალი მარშრუტებია: №409, №410, №411, №413, №420, №423, №424, №524, №582. აღნიშნული იწვევს დადგენილების დანართ 1-ში ავტობუსების რაოდენობის 66 ერთეულით შემცირებას და 9 მარშრუტის (№1, 20, 24, 76, 79, 82, 83, 223, 224) გაუქმებას.

ამ ცვლილებებით დავასრულეთ 300 ერთეული ახალი M_2 კატეგორიის ავტობუსის განაწილება მარშრუტებზე.

დ.რურუა - გავრცელდება თუ არა აღნიშნულ მარშრუტებზე მეტროსა და M_3 კატეგორიის ავტობუსებში მოქმედი შეღავათიანი ტარიფი.

შ.ოგბაიძე - მოქალაქეები, რომლებიც შეღავათიანი ტარიფით სარგებლობენ მეტროსა და M_3 კატეგორიის ავტობუსებში, ისარგებლებენ იგივე შეღავათით ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული მიკროავტობუსით მგზავრობისას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03210762-03; 17.03.2021)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03210762-03; 17.03.2021):**

დ.ჯაიანი - აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილება კვლავ სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემას უკავშირდება. კერძოდ, პროექტით

გათვალისწინებულია დანართი 1-დან ავტობუსების №55, №140 მარშრუტების ამოღება, რაც გამოწვეულია №301 მარშრუტში ცვლილების შეტანით. კერძოდ, მარშრუტი №301: გაგრძელდა ემირ ბურჯანაძის ქუჩის მიმართულებით; თავისუფლების მოედანზე ხვდება ევროპის მოედნის, მარცხენა სანაპიროს, ნიკოლოზ ბარათაშვილის ხიდის და ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩის გავლით, ნაცვლად კოტე აფხაზის ქუჩისა; პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე ხვდება პეტრე ქავთარაძის ქუჩის გავლით, ნაცვლად ვაჟა ფშაველას გამზირისა და ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩისა. შედეგად სრულად გადაიფარება ავტობუსების (M_3 კატეგორია) №55 და №140 მარშრუტები. დადგენილებას, მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩასართავად, ემატება №345 და №346 მარშრუტები, რომლებიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 13 ნოემბრის №20.1351.1671 განკარგულებით, დროებითი ღონისძიების სახით, ჩართული არიან სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში. ამასთან, №345 მარშრუტში შედის ცვლილებები, კერძოდ, მარშრუტის მოძრაობა თავისუფლების მოედნის მიმართულებით განხორციელდება ევროპის მოედნის, მარცხენა სანაპიროს, ნიკოლოზ ბარათაშვილის ხიდის და ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩის გავლით, ნაცვლად კოტე აფხაზის ქუჩისა, რითაც სრულად გადაიფარება №61 მარშრუტი და აღნიშნულიდან გამომდინარე №61 მარშრუტი ამოღებულია დადგენილების დანართი 1-დან. რაც შეეხება №346 მარშრუტს, იგი რჩება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 13 ნოემბრის №20.1351.1671 განკარგულებაში ასახული სახით. კერძოდ, მარშრუტი განსაზღვრულია შემდეგი სახით: რუსთავის გზატკეცილი (ცოტნე დადიანის III ჩიხის მოპირდაპირედ, მობრუნების წრეზე) - ქვემო ფონიჭალის დასახლება (რუსთავის გზატკეცილი) - ვახტანგ გორგასალის ქ. - დიმიტრი გულიას მოედანი - დიმიტრი გულიას ქ. - რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩა - ნავთლუღის ქ. - ქეთევან დედოფლის გამზირი - მოსკოვის გამზირი - ჯავახეთის ქ. - ვიქტორ კუპრაძის ქ. - ზურაბ პატარიძის ქ. - ჰოთელს & პრეფერენს ჰუალინგ თბილისის მიმდებარედ. **უკუ მიმართულება:** ჰოთელს & პრეფერენს ჰუალინგ თბილისი - ზურაბ პატარიძის ქ. - ვიქტორ კუპრაძის ქ. - ჯავახეთის ქ. - მოსკოვის გამზირი - ქეთევან დედოფლის გამზირი - ნავთლუღის ქ. - რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩა - დიმიტრი გულიას ქ. - დიმიტრი გულიას მოედანი - ვახტანგ გორგასალის ქ. - რუსთავის გზატკეცილი - ქვემო ფონიჭალის დასახლება (რუსთავის გზატკეცილი) - რუსთავის გზატკეცილი (ცოტნე დადიანის III ჩიხის მოპირდაპირედ, მობრუნების წრეზე).

ამავე დროს, გლდანის რაიონში, ომარ ხიზანიშვილის და ილია ვეკუას ქუჩებზე ავტობუსების მოძრაობისთვის სპეციალური ზოლების დატანისა და მოძრაობის ორგანიზების ცვლილებიდან გამომდინარე, ცვლილებები შედის ავტობუსების (M_3 კატეგორია) №23, №24, №33, №45, №73, №108 მარშრუტებში. აღნიშნული მარშრუტები მ/ს „ახმეტელის თეატრის“ მიმდებარე ტერიტორიაზე შევლენ ომარ

ხიზანიშვილის ქუჩით, ნაცვლად ილია ვეკუას ქუჩისა. ასევე გლდანის დასახლებიდან, მ/ს „ახმეტელის თეატრის“ მიმართულებით მოძრაობა განხორციელდება ილია ვეკუას ქუჩით, ნაცვლად ომარ ხიზანიშვილის ქუჩისა. ხოლო №32 და №51 ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტებზე მ/ს „ახმეტელის თეატრის“ მიმართულებით მოძრაობა გათვალისწინებულია ქერჩის, აკაკი ვასაძის და ომარ ხიზანიშვილის ქუჩების გავლით, ნაცვლად თენგიზ შეშელიძის ქუჩისა. ასევე ცვლილებები შედის ავტობუსების (M3 კატეგორია) №6, №20, №32, №43, №72, №94 მარშრუტებში, სადაც დამატებით განისაზღვრება დიდი ტევადობის მოძრავი შემადგენლობის ჩართვის შემთხვევაში ავტობუსების საჭირო რაოდენობები, ხოლო №52 მარშრუტზე მაქსიმალური რაოდენობა იზრდება ერთი ერთეულით. №70 მარშრუტის გაგრძელდება ნიკო ფიროსმანის მოედნამდე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03210762-03; 17.03.2021).

3. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის შესახებ:**

შ.ოგბაიძე - საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი პროცედურების მიხედვით, კომისიის წევრთაგან უნდა განისაზღვროს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი. მოცემულ პოზიციაზე წარმოგიდგენთ დავით რურუას კანდიდატურას.

კომისიის წევრებმა ცნობად მიიღეს წარმოდგენილი ინფორმაცია.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე